

რესურსებზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიების გამოყენებით
მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება

მედეა გიგაური
ნინო პაპოშვილი
ია გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე (მოწვეული პედაგოგი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით“.

მედეა გიგაური
ნინო პაპოშვილი
ია გელაშვილი

20.06.2019

მადლობა

პრაქტიკის კვლევის ჩატარება წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენ მიერ შერჩეული სკოლის ადმინისტრაციის უდიდესი დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე. ასევე, დიდ მადლობას ვუხდით, კვლევაში ჩართულ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, კლასის დამრიგებელსა და თითოეულ მოსწავლეს, რომლებიც ჩვენ მიერ დაგეგმილ და შეთავაზებულ ინტერვენციებში აქტიურად, დიდი ენთუზიაზმით ერთვებოდნენ.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან თოდაძეს, რომელიც პრაქტიკის კვლევის თითოეულ ეტაპზე და შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში აქტიურად გვეხმარებოდა სასარგებლო რეკომენდაციებით.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საბაზო საფეხურის მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიმართულებით ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიში.

აღნიშნული კვლევის პროცესში უნდა შეგვეჩია და განგვეხორციელებინა ის ინტერვენციები, რომლებიც რეალურად უპასუხებდა დიაგნოსტიკისას გამოკვეთილ პრობლემებს.

ჩვენი პრაქტიკული კვლევის მიზანი იყო რესურსებზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება და ასევე, ლატენტური მიზანი - მოსწავლეების წიგნებთან დამეგობრება.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე პრაქტიკის კვლევა დაემყარა სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. კერძოდ, გამოვიყენეთ: ფოკუს ჯგუფი, სიღრმისეული ინტერვიუ და თვითადმინისტრირებადი კითხვარი. აღნიშნული კითხვარის ერთ-ერთი მიზანი მოსწავლეების მხრიდან ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება იყო. მონაცემები დავამუშავეთ სტატისტიკური პროგრამით SPSS.

პრაქტიკის კვლევის პრე და პოსტ ტესტად გამოვიყენეთ სამი საინფორმაციო, არგუმენტირებული ტექსტისაგან შედგენილი ტესტი.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ჩვენ მიერ გამოყენებულმა ინტერვენციებმა პოზიტიური ცვლილებები გამოიწვია მოსწავლეებში კრიტიკული აღქმისა და გააზრების მიმართულებით. კერძოდ, მოსწავლეების უმრავლესობასთან გაუმჯობესდა ტექსტების გაგება, ანალიზი, პერსონაჟების მსგავსებებსა და განსხვავებებზე მსჯელობა სიღრმისეულად.

ჩატარებულ პრაქტიკის კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუცილებელია მოსწავლეებისათვის მათი ასაკისა და ინტერესების შესაბამისი ლიტერატურის შეთავაზება. მიზნობრივი და დროული აქტივობების დაგეგმვა,

განმავითარებელი შეფასების ხშირი გამოყენება და რელევანტურ საკითხებზე დისკუსიების პოპულარიზაცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, წიგნიერება, მოტივაცია, სწავლების მეთოდები.

Abstract

The following paper presents the results of action research that has been carried out with purpose to develop critical thinking in the basic level students.

The aim of the research process was to choose and implement interventions that would actually respond to the problems identified during the diagnostic stage.

Thus, action research aimed to develop critical thinking by using recourse based strategies, along with encouraging students to read for pleasure.

Due to the mentioned aim the action research has been built on the both, quantitative and qualitative methods of sociological research, namely: focus group discussions, in-depth interviews and a self-administered questionnaire. Questionnaire was designed to make students evaluate the activities implemented during the research. Information has been processed through the statistical program SPSS.

Pre and post-tests involved three informative and argumentative texts.

The results of the research demonstrated that the implemented interventions resulted in the real positive changes in the development of the students' critical perception and understanding. Namely, the absolute majority of students did not have any difficulties in understanding and analyzing texts and, also, in discussing similarities and differences between characters.

Results of the action research lead to the conclusion that there is a need to offer students the appropriate literature corresponding their age and interests, to plan the targeted and timely activities, constantly use formative assessment and to promote discussions on the relevant issues.

Keywords: Thinking, Critical thinking, Literacy, Motivation, Teaching methods.